სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-07/198

ქ. თბილისი

10 დეკემბერი 2025 წ.

თბილისში, ილია ჭავჭავაძის №60 გ-ში მდებარე სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შედეგად უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხული თანხის განკარგვის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აკადემიური საბჭოს 2025 წლის 10 დეკემბრის №01-05-02/28 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. მიღებული იქნეს წინადადება - საქართველოს მთავრობის 2024 წლის 29 მარტის №445 განკარგულების საფუძველზე, (იხ. დანართი) თბილისში, ილია ჭავჭავაძის 60გ-ში მდებარე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბალანსზე არსებული სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შედეგად უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხული 9 837 000 (ცხრა მილიონ რვაას ოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარის უნივერსიტეტის განვითარებისა და სხვა საჭიროებების დაფინანსების მიზნით გამოყენების თაობაზე.
2. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N445 2024 წლის 29 მარტი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ინფორმაციის მოწონებისა და მისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 6^2 მუხლისა და „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/სარეალიზაციო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო თანხის/საწყისი სარეალიზაციო საფასურის, სარგებლობაში გადაცემის საფასურისა და საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის №570 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ინფორმაცია ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირის №60გ-ში მდებარე 5331 კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-

ნაგებობების: №1-ის, საერთო ფართით – 3 832.28 კვ/მ (მ/შ, ნახევარსარდაფი – 1 796.95 კვ/მ, I სართული – 1 839.25 კვ/მ, ანტრესოლი, ფართით – 196.08 კვ/მ), №2-ის, საერთო ფართით – 317.1 კვ/მ, №3-ის, საერთო ფართით – 41.42 კვ/მ, №4-ის, საერთო ფართით – 35.19 კვ/მ, №5-ის, საერთო ფართით – 238.44 კვ/მ, №6-ის (ნანგრევი), №7-ის, საერთო ფართით – 752.9 კვ/მ (მ/შ, სარდაფი – 176.50 კვ/მ, I სართული – 143.90 კვ/მ, II სართული – 144.30 კვ/მ, III სართული – 143.90 კვ/მ, IV სართული – 144.30 კვ/მ), №8-ის (მიწისქვეშა ნაგებობა), საერთო ფართით – 207 კვ/მ, №9-ის (მიწისქვეშა ნაგებობა), №10-ის (მიწისქვეშა ნაგებობა), №11-ის (აუზი), №12-ის (ბეტონის ნაგებობა) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.14.11.003.023) პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო თანხის დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის) დასკვნის საფუძველზე დადგენილ საბაზრო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობით – 7 953 000 (შვიდი მილიონ ცხრაას ორმოცდაცამეტი ათასი) ლარით განსაზღვრისა და შემდეგი საპრივატიზებო პირობების დადგენის თაობაზე:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან არაუმეტეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის ვადაში;

ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 1 (ერთი) თვის ვადაში არანაკლებ 9 837 000 (ცხრა მილიონ რვაას ოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარის ჩარიცხვა სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განახორციელოს ამ განკარგულების შესრულებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**